ეთიკის და ქცევის კოდექსი

ვერსია დამტკიცებულია GGU-ის მიერ დირექტორთა საბჭო, 18 თებერვალი, 2022წ.

GGU
Georgia Global Utilities

FCC

FCC-ის ხედვა განსაზღვრავს მომავალს, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით და განაპირობებს ჩვენს ქმედებებს. ჩვენ, ყველა ვიზიარებთ ერთსა და იმავე კულტურას და მხარს ვუჭერთ ერთსა და იმავე პროექტს - ერთიანი FCC.

ხედვა

ვიყოთ სანიმუშო საერთაშორისო ჯგუფ FCC Citizen Services-ში, რომელიც რესურსების ეფექტურად მართვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გვთავაზობს ყოვლისმომცველ და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, და ამავდროულად, ხელს უწყობს მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოების მდგრად განვითარებას.

მისია

მოქალაქეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად ეფექტურად და მდგრადად დავგეგმოთ, განვახორციელოთ და ვმართოთ გარემოსდაცვითი საკითხები, წყალმომარაგების სრული პროცესი და ძირითადი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები.

ფასეულობები

შედეგებზე ორიენტირებული მიდგომა
ჩვენ მივისწრაფვით მუდმივი გაუმჯობესებისკენ და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ მივაღწიოთ დასახულ მიზნებს - FCC ჯგუფი გახდეს სანიმუშოდ კონკურენტუნარიანი და მომგებიანი.

პატიოსნება და პატივისცემა
ჩვენ გვსურს აღიარებულნი ვიყოთ, როგორც პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოქმედი ჯგუფი, დავიმსახუროთ ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების და მომწოდებლების ნდობა, როგორც გამორჩეულმა გრძელვადიანმა პარტნიორებმა.

შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი
ჩვენ კეთილსინდისიერად ვასრულებთ ჩვენს საქმიანობას და ორიენტირებული ვართ მომხმარებლების მომსახურებაზე, ვაუმჯობესებთ ჩვენი გუნდების შესაძლებლობებს ეფექტური და ინოვაციური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ლოიალურობა და ერთგულება
ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მრავალფეროვნებას, მხარს ვუჭერთ პროფესიულ განვითარებას და ვაღიარებთ მიღწევებსა და კრეატიულობას, როგორც პროდუქტიულობისა და პროგრესის მამოძრავებელ ძალას.

საზოგადოების კეთილდღეობა და განვითარება
ჩვენ ვაცნობიერებთ რამდენად ფასეულია საზოგადოებისთვის ჩვენი მომსახურება და ერთგული ვართ გარემოს დაცვითი საკითხების, მოსახლეობის კეთილდღეობისა და განვითარების მიმართ.

ჩვენი ეთიკისა და ქცევის კოდექსი უზრუნველყოფს FCC ჯგუფში მიღებული ფასეულობების გაზიარებას, რათა დაინერგოს შესაბამისობის უფრო ძლიერი კულტურა და მხარი დაუჭიროს ჩვენი პროექტისთვის გრძელვადიანი ფასეულობის შექმანს.

დაუშვებელია კოდექსის დაცვა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა, ასეთი გარემოების წარმოქმნის შემთხვევაში, კოდექსის შინაარსი ადაპტირებული იქნება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

კოდექსს უპირატესობა ენიჭება ნებისმიერ წინააღმდეგობრივ ადგილობრივ შიდა წესებსა და ქცევის კოდექსებთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რეგულაციები აწესებს ქცევის უფრო მკაცრ მოთხოვნებს. სპეციფიკური ადაპტაციები დასაშვებია იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც ოპერირებს FCC ჯგუფი, შესაბამისობის კომიტეტთან კონსულტაციებისა და კომიტეტის ავტორიზაციის საფუძველზე.

FCC ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსი

ეთიკის და ქცევის კოდექსის მიზანია წაახალისოს ყველა პირი, რომელსაც კავშირი აქვს FCC ჯგუფის რომელიმე კომპანიასთან, სამსახურეობრივი საქმიანობის დროს დაიცვან ქცევის ყველაზე მკაცრი მითითებები, რათა შესაბამისობაში იყვნენ კანონმდებლობასთან, ხელშეკრულებებთან, პროცედურების მოთხოვნებთან და ეთიკურ ნორმებთან.

კოდექსთან შესაბამისობა სავალდებულოა ყველასთვის, ვინც დაკავშირებულია FCC ჯგუფის რომელიმე კომპანიასთან, მათი შრომითი ურთიერთობის განმსაზღვრელი ხელშეკრულების ან შეთანხმების ტიპის, სამუშაო პოზიციის ან დასაქმების გეოგრაფიული არეალის გათვალისწინების გარეშე.

წინამდებარე ეთიკის და ქცევის კოდექსში მოცემული მითითებები ქცევაზე ასევე ვრცელდება ყველა ინვესტიციის მიმღებებზე და ორგანიზაციებზე, რომლებშიც FCC ჯგუფი ახორციელებს მმართველობაზე კონტროლს. FCC ჯგუფი ასევე წაახალისებს თავის ინვესტიციის მიმღებებს, მაშინაც კი, როდესაც მიმღები არ არის ჯგუფის კონტროლის ქვეშ, მომწოდებლებს, კონტრაქტორებს, თანამშრომლებს და სხვა პარტნიორებს, რომ მიიღონ კოდექსში წარმოდგენილი პრინციპებისა და ფასეულობების მსგავსი პრინციპები და ფასეულობები.

ეთიკისა და შესაბამისობის მოდელი

FCC ჯგუფის ეთიკისა და შესაბამისობის მოდელი შეიქმნა შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკების, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულებებთან დაკავშირებული რისკების განჭვრეტა-აღმოჩენისთვის და რისკების პოტენციური გავლენის შემცირებისთვის. კოდექსი წარმოადგენს ამ მოდელის უმაღლესი დონის სახელმძღვანელოს. მოდელი, თავის მხრივ, დანერგილია პერიოდულად განხილვად და განახლებად პოლიტიკების, პროცედურებისა და შიდა კონტროლების მეშვეობით.

რისკების რეგულარული ანალიზით, პასუხისმგებლობისა და მისაღები ქცევის განსაზღვრით და თანამშრომლების ცნობიერებისთვის რესურსების გამოყოფით, ეთიკის და შესაბამისობის მოდელი ჯგუფის საქმიანობაზეა მორგებული. ჯგუფში ასევე დანერგილია პროცესები კომპანიის შესაბამისობის დონისა და ეთიკური კორპორატიული კულტურის შესაფასებლად და პოტენციური დარღვევების გამოვლენის, ანგარიშგების და ზომების მიღების მიზნით.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია შესაბამისობის მოდელისა და ეთიკისა და ქცევის კოდექსის დამტკიცებაზე და, საბოლოო ჯამში, აუდიტისა და კონტროლის კომიტეტის მხარდაჭერით, ეთიკური კორპორატიული კულტურის უზრუნველყოფაზე. კოდექსთან შესაბამისობის ზედამხედველობის და შესაბამისობის მოდელის დანერგვის ულებამოსილება ექნება შესაბამისობის ფუნქციას, რომელიც ანგარიშს წარუდგენს აუდიტისა და კონტროლის კომიტეტს და მხარდაჭერილი იქნება შესაბამისობის კომიტეტის და შიდა აუდიტის მიერ.

FCC ჯგუფი იყენებს სათანადო კონტროლის პრინციპებს, რათა ხელი შეუწყოს მოქმედ შიდა და გარე რეგულაციების დაცვას და თავიდან აიცილოს, აღმოაჩინოს და აღმოფხვრას არასწორი, შეუსაბამო ან რეგულაციების დამრღვევი ქმედება.

ეთიკის და შესაბამისობის პრინციპები

- აუცილებელია თქვენი საქმიანობის შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა და დაცვა.

- აუცილებელია, თქვენს ინდივიდუალურ საქმიანობაში გამოიყენოთ კოდექსის მითითებები, ხელი შეუწყოთ კომპანიაში მის გამოყენებას, დაეხმაროთ შესაბამისობის კულტურის შემუშავებას და თავიდან აიცილოთ და გამოასწოროთ ნებისმიერი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება კოდექსს.

- აუცილებელია, აცნობოთ ეთიკის არხს (Whistleblowing Channel) ნებისმიერი ქცევის შესახებ, რომელიც თქვენი ყურადღების ქვეშ მოექცევა და რომელიც, თქვენი აზრით, არღვევს კოდექსს.

შესაბამისობის პრინციპები

ჩვენ ვიცავთ მოქმედ კანონმდებლობას და წესებს
ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ჩვენი ბიზნეს და პროფესიული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც არ უნდა ვახორციელებდეთ საქმიანობებს.

ჩვენ ვაჩვენებთ სამაგალითო ქცევას
ჩვენი საქმიანობა იცავს FCC ჯგუფის რეპუტაციას და ასახავს ეთიკას, შრომისმოყვარეობას, პროფესიონალიზმსა და პატიოსნებას.

ჩვენ ვართ შრომისმოყვარე და ვართ პასუხისმგებელი ჩვენს ქმედებებზე
ჩვენ ვიყენებთ ეთიკისა და შესაბამისობის სტანდარტულ მოდელს, რომელიც სათანადო კონტროლზეა დაფუძნებული არასწორი ქცევის პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრისთვის.

FCC ჯგუფში ჩვენ გვჯერა, რომ სათანადო კონტროლის პრინციპის გამოყენება ეთიკისა და შესაბამისობის სფეროში მოიცავს ჩვენთან დაკავშირებული მესამე მხარის ეთიკისა და შესაბამისობის მოდელების შეფასებას.

ჩვენ აღვწერთ დარღვევებს
ჩვენ, შესაბამისი არხების მეშვეობით, კომპანიის ყურადღების ქვეშ ვაქცევთ ნებისმიერ ინციდენტს ან დარღვევას, რომლის შესახებაც ჩვენთვის ცნობილია.

FCC ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპები

პატიოსნება და პატივისცემა

1. ჩვენ ვიცავთ კანონმდებლობას და ეთიკურ ფასეულობებს.
2. ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობის და კორუფციის მიმართ.
3. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას.
4. ჩვენ ვიცავთ თავისუფალ კონკურენციას და ბაზრის საუკეთესო პრაქტიკას.
5. ჩვენ ვაჩვენებთ ეთიკური ქცევის მაგალითს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.
6. ჩვენ ვერიდებით ინტერესთა კონფლიქტს.

შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი

7. ჩვენ მოწადინებული ვართ კონტროლთან, საიმედოობასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.
8. ჩვენ ვიცავთ ჯგუფის რეპუტაციასა და იმიჯს.
9. ჩვენ ეფექტურად და უვნებლად ვიყენებთ კომპანიის რესურსებს და აქტივებს.
10. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მონაცემთა და ინფორმაციის ფლობას და კონფიდენციალურობას.

ლოიალურობა და ერთგულება

11. ჩვენთვის პრიორიტეტია ჩვენი მომხმარებლები.
12. უმთავრესია შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
13. ჩვენ ხელს ვუწყობთ არადისკრიმინაციულ და სამართლიან მოპყრობას.
14. ჩვენ ერთგული ვართ გარემოს დაცვის მიმართ.
15. ჩვენი ურთიერთობა საზოგადოებასთან გამჭვირვალეა.
16. ჩვენ ვავრცელებთ ჩვენს ვალდებულებას ბიზნეს პარტნიორებზე.

პატიოსნება და პატივისცემა

1. ჩვენ ვიცავთ კანონმდებლობას და ეთიკურ ფასეულობებს.
2. ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობის და კორუფციის მიმართ.
3. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას.
4. ჩვენ ვიცავთ თავისუფალ კონკურენციას და ბაზრის საუკეთესო პრაქტიკას.
5. ჩვენ ვაჩვენებთ ეთიკური ქცევის მაგალითს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.
6. ჩვენ ვერიდებით ინტერესთა კონფლიქტს.

ჩვენ ვიცავთ კანონმდებლობას და ეთიკურ ფასეულობებს

1

რეგულაციებთან შესაბამისობა ყოველთვის ჩვენი ამოსავალი წერტილია

FCC ჯგუფში ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ჩვენი ბიზნეს და პროფესიული საქმიანობები მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობისა და კომპანიის წესებისა და პროცედურების შესაბამისად, სადაც არ უნდა ვახორციელებდეთ საქმიანობას, მათ შორის დავიცვათ საერთაშორისო სანქციებთან თუ შემაკავებელ ზომებთან დაკავშირებული რეგულაციები, ექსპორტისა თუ იმპორტის კონტროლსა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული რეგულაციები, ისევე როგორც კომპანიის შესაბამისი წესები და პროცედურები.

ინდივიდების ღირსებისა და მათი ძირითადი უფლებების პატივისცემა FCC ჯგუფის ქცევის ქვაკუთხედია

FCC ჯგუფის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მხარი დაუჭიროს ამ პრინციპს, განახორციელოს პროფესიული საქმიანობა ადამიანის უფლებების და სამოქალაქო უფლებების აბსოლუტური პატივისცემით და გარანტიით.

პატიოსნება და კანონმდებლობასთან და კომპანიის წესებთან შესაბამისობა მუდმივი მახასიათებელი უნდა იყოს ჯგუფის ყველა თანამშრომლის, განსაკუთრებით კი ჯგუფის მმართველი რგოლის ყოველდღიურ ქცევაში.

ქცევა, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის ფასეულობებთან, არის კრიტერიუმების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის თანამშრომლების შერჩევისა და შეფასებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური ზომების გატარებისთვის.

განსაკუთრებით გაითვალისწინეთ შემდეგი

FCC ჯგუფი ხელს უწყობს ორმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობას იმ ქვეყნების ხელისუფლებებთან, სადაც ის ოპერირებს. FCC ჯგუფის ყველა აქტივობა უნდა აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს, მათ შორის საგადასახადო და სოციალური დაცვის ვალდებულებებს, იმის უზრუნველყოფით, რომ სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და ჯგუფისთვის გაცემული სხვა სახსრები გამოიყენება მხოლოდ და გულმოდგინედ იმ მიზნისთვის, რისთვისაც ის მიიღო.

მოქმედი კანონმდებლობის დაცვასთან ერთად, სავალდებულოა FCC ჯგუფის პოლიტიკებსა და წესებთან შესაბამისობა, ასევე ნებაყოფლობით ნორმებთან შესაბამისობა, მათ შორის გაეროს გლობალურ შეთანხმებასთან, შრომის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) დეკლარაციასთან და შსო-ს სხვა კონვენციებთან, რომლის მიმართ ჯგუფს აქვს დაცვის ვალდებულება.

განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოთ

სანქციები და საერთაშორისო ემბარგოები

ზოგადად, საერთაშორისო სანქციები და ემბარგო წარმოადგენს იძულებით ზომებს, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოების, არასახელმწიფო აქტორების ან კერძო პირების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ყველაზე ხშირი ზომებია სავაჭრო ან ფინანსური საქმიანობის აკრძალვები და ვიზების აკრძალვა ან მოგზაურობის შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია მრავალმხრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფოს მიერ.

სანქცირებულ ქვეყნებზე კონსულტაციები ხელმისაწვდომია შემდეგ საინფორმაციო ბმულებზე:

https://sanctionssearch.ofac.treas.gov/
https://www.sanctionsmap.eu/#/main

ორმაგი გამოყენების პროდუქცია განსაზღვრულია, როგორც პროდუქცია, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე
სამხედრო თუ ბირთვული მიზნებისთვის.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ და, ეჭვის შემთხვევაში, გადაამოწმოთ შესაბამისობის ოფიცერთან:

- სავაჭრო, ფინანსური, იმპორტისა და ექსპორტის ოპერაციები სანქცირებულ ქვეყნებთან, პირებთან ან ორგანიზაციებთან.
- ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც ორმაგი გამოყენების პროდუქციასთან არის დაკავშირებული.

ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობის და კორუფციის მიმართ

2

ნულოვანი ტოლერანტობა

FCC ჯგუფი არ მოითმენს კორუფციას, ქრთამის გაცემას ან მიღებას ან რაიმე სახის გამომძალველობას. აკრძალულია მესამე მხარეზე ზემოქმედება კომპანიისთვის, საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის უპირატესობის, პრივილეგირებული მოპყრობის ან სარგებლის მიღების გარანტიის მოპოვების მიზნით, ზემოქმედება ნებისმიერი სახით გადახდის ან ანაზღაურების გზით, იქნება ეს ფულადი თუ არა-ფულადი ფორმით, პირდაპირ თუ მესამე მხარის მეშვეობით.

მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, პარტნიორებთან, თანამშრომლებთან და სხვა პირებთან ან ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომლებსაც აქვთ, ჰქონდათ ან შეეძლოთ ჰქონოდათ საერთო ბიზნესი FCC ჯგუფთან, უნდა წარიმართოს უფლებამოსილი პირების მიერ და ამ კოდექსით გათვალისწინებული მითითებების დაცვით.

საჩუქრებისა და მიპატიჟებების მიღება და გაცემა

დაუშვებელია საჩუქრების გაცემა, გარდა საჩუქრებისა, რომელიც გამოხატავს სტანდარტულ საქმიან ან სიმბოლურ შეთავაზებას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საჩუქრის მიზანი იყოს პრივილეგირებული მოპყრობის მიღება ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს FCC ჯგუფთან.

დაუშვებელია საჩუქრების, ანგარიშსწორების, საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა ნივთის მოთხოვნა ან მიღება პირადი სარგებლის მიღების მიზნით, იქნება ეს ახლანდელი თუ მოსალოდნელი მომხმარებლისგან, მომწოდებლებისგან თუ ჯგუფთან დაკავშირებული, ან დაკავშირების მსურველი პირებისგან, ან მათი სახელით მოქმედი პირებისგან. აღნიშნული მითითება ვრცელდება პერსონალური მომსახურების გაწევაზე, სამუშაოს შეთავაზებაზე, მოგზაურობაზე, პრიორიტეტულ მოპყრობაზე, სპეციალურ ფასდაკლებებსა და სხვა ნებისმიერი ღირებული ნივთის გადაცემაზე.

ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობის და კორუფციის მიმართ

2

საქართველოში ადაპტაცია საჩუქრებისა და სტუმართმოყვარეობის კუთხით

როგორც “საჩუქრების პოლიტიკის” მე-2 პუნქტშია დადგენილი, Aqualia-ს საქმიანობისთვის საქართველოში შემოღებულია უფრო შემზღუდავი მოთხოვნები, აღნიშნულ პოლიტიკაში შეტანილი დანარჩენი პრინციპების დაცვის ვალდებულებაზე ზიანის მიყენების გარეშე.

ამგვარად, გონივრულ საჩუქრად დადგენილია საჩუქრები, რომლის ღირებულებაც არ აღემატება 120 ევროს, ან 120 ევროს ეკვივალენტს ლარში. FCC ჯგუფის/Aqualia-ს თანამშრომლების მიერ მესამე მხარისთვის გაცემულ საჩუქრებთან დაკავშირებით, ვრცელდება 120 ევროს/120 ევროს ეკვივალენტი ლარში ლიმიტი ერთი და იმავე პირის მიერ ექვსი თვის განმავლობაში მიღებული ყველა საჩუქრის, მიპატიჟების ან თავაზიანობის გამომხატველი ქმედებების ჯამურ ღირებულებაზე.

FCC ჯგუფის/Aqualia-ს თანამშრომლების მიერ მიღებულ საჩუქრებთან დაკავშირებით, 120 ევროს/ 120 ევროს ეკვივალენტი ლარში ლიმიტი ვრცელდება ექვსთვიან პერიოდში ერთი და იმავე კომპანიისგან ან ორგანიზაციისგან გაცემული ყველა საჩუქრის, მოსაწვევის ან თავაზიანობის გამომხატველი ქმედებების ჯამურ ღირებულებაზე.

მასპინძლობის შემთხვევაში, გონივრულად მიიჩნევა ხარჯები, რომელიც არ აღემატება 60 ევროს/ 60 ევროს ეკვივალენტს ლარში ერთ ადამიანზე, ღონისძიების ადგილმდებარეობის, კონტექსტისა და არსის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით გაითვალისწინეთ შემდეგი

საჩუქრები და მიპატიჟებები

ამ კოდექსში ასახული წესები მიზნად ისახავს იყოს მოქნილი, რათა გაითვალისწინოს სხვადასხვა ადათ-წესები და პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას და იყოს სათანადოდ ობიექტური სასარგებლო მითითებების უზრუნველსაყოფად. ეს მიდგომა იძლევა სიმბოლური საჩუქრების, ჩვეული ბიზნეს თავაზიანობისა და სიმბოლური შეთავაზებების მიღების ან გაცემის საშუალებას, თუ დაცულია ყველა შემდეგი გარემოება:

- არ არის კანონით აკრძალული.
- არ შეიძლება ჩაითვალოს შეუფერებლად ან არაპროფესიონალურად.
- მათი გაცემა ან მიღება უნდა მოხდეს გამჭვირვალედ და მხოლოდ ზოგჯერ და პატივი უნდა სცეს კომერციულ პრაქტიკას და ზოგადად მიღებულ სოციალური თავაზიანობის ნორმებს.
- მათ უნდა ჰქონდეთ გონივრული ღირებულება. ზოგადად, საჩუქრები, რომელთა ღირებულებაც არ აღემატება 120 ევროს, ან მის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში, ითვლება გონივრული ღირებულების მქონედ. თანხის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში მესამე პირისგან მიღებული ან მასზე გადაცემული ყველა საჩუქარი და თავაზიანობა.
- ისინი არ შეიძლება იყოს ფულადი სახით, ფასიანი ქაღალდების ან ისეთი ნივთების სახით, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდ ფულზე.
- მათი მიღება ან გაცემა აკრძალულია თუ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიზნად ისახავს გავლენა მოახდინოს პროფესიულ გადაწყვეტილებებზე, დროის რეგულირების ან სხვა მიზნით.
- აკრძალულია მათი მოთხოვნა.

ლანჩზე მიპატიჟებები და სპორტულ, კულტურულ ან სასწავლო ღონისძიებებზე მიპატიჟებები

ზოგადად, ლანჩებსა და ღონისძიებებზე მიპატიჟება მისაღებია, თუ ისინი გონივრულია. მიპატიჟებები, რომლებიც არ აღემატება 60 ევროს ან მის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში ერთ ადამიანზე, მიჩნეულია გონივრულად, ღონისძიების ადგილმდებარეობის, კონტექსტისა და არსის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება სახელმძღვანელო პრინციპებს.

მხოლოდ ტრენინგზე ორიენტირებულ სემინარებზე და აქტივობებზე დასწრება არ განიხილება პირად სარგებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ღირებულება, ლოკაცია, კონტექსტი ან დამატებითი გადასახადი არ არის შესაფერისი მიზნისთვის.

ჩვენ ვეწინააღმდეგებით ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას

3

ჩვენ ყოველთვის ფხიზლად ვართ, რომ თავიდან ავიცილოთ უკანონო საქმიანობა

FCC ჯგუფში ჩვენ განსაკუთრებით გულმოდგინედ ვუდგებით ფულის გათეთრებასთან და/ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვის საკითხს.

როგორც წესი, FCC ჯგუფი არ უშვებს ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას ან მის მიღებას. გამონაკლისი ამ კუთხით უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და ავტორიზებული, უნდა იყოს მცირე ოდენობით, რომელიც მესამე მხარისთვის გადახდის შემთხვევაში დაუშვებელია აღემატებოდეს 3,500 ლარს და გადახდა შესაბამისობაში უნდა იყოს ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

იმ იურისდიქციებისა და საქმიანობებისთვის, რომლებშიც FCC ჯგუფი ექვემდებარება მარეგულირებლის ზედამხედველობას და მასთან ანგარიშგებას, განხორციელებული დიუ დილიჯენსის ზომები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს:

- საქმიან ურთიერთობაში მყოფი მესამე მხარის - მომხმარებელი, პარტნიორი, მომწოდებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვ. - საიდენტიფიკაციო მონაცემების ნამდვილობას.
- იმ თანხების წარმომავლობას, რომელსაც ვიღებთ გადახდების სახით.
- ნაწილ-ნაწილ მიღებულ ან დანაწევრებულ გადახდებს, რომელიც სრულდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესგისტრაციისა და ანგარიშგების თავიდან ასაცილებლად.
- გადახდებს, რომლებიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად იყოს გამოყენებული, ნაწილობრივ ან მთლიანად, ტერორისტულ ქმედებებში ჩართვისთვის.
- გადახდებს, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეს კომერციული დანიშნულება ან რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს გონივრული ახსნა.
- ანგარიშსწორებას და თანხის მიღებას შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში/იდან, საბანკო ანგარიშებზე/იდან, პირებზე/ისგან ან ორგანიზაციებზე/ისგან.

ჩვენ ვიცავთ თავისუფალ კონკურენციას და ბაზრის საუკეთესო პრაქტიკას

4

ჩვენი მიზანი - გავხდეთ ეტალონი ბაზარზე, არა მხოლოდ უპირატესობა, არამედ პასუხისმგებლობაც არის

ჩვენ ვიცავთ ყველა იმ ბაზრის თავისუფალი კონკურენციის წესებსა და პრინციპებს, სადაც ჩვენ ვოპერირებთ. ჩვენ ვმოქმედებთ ლოიალურად, ვერიდებით ნებისმიერ ქცევას, რომელიც წარმოადგენს ან შეიძლება წარმოადგენდეს ამ თავისუფალი კონკურენციის მიმართ შეთქმულებას, ბოროტად გამოყენებას ან შეზღუდვას.

FCC ჯგუფი კრძალავს ქცევას, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს ეფექტური კონკურენციის განვითარება და უწყვეტობა.

ჩვენ ვერიდებით ნებისმიერ ქცევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფასების ბოროტად გამოყენება ან მანიპულირება.

ნებისმიერ შემთხვევაში მოერიდეთ შემდეგს:

- ძალაუფლების ან ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება.
- მოლაპარაკებები და შეთანხმებები კონკურენტებთან, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე თავიანთი საქმიანობის გარიგებას.
- ტენდერებში თაღლითობა, მათ შორის გადაწყვეტილების შესახებ, თუ რომელი მხარე უნდა იყოს მოწვეული ტენდერის წარსადგენად და რომელი უნდა გამორიცხოს, ინფორმაციის გაზიარება მონაწილეების წინადადებების, მოწოდების ვადების, ფასის და სხვა ნებისმიერი პირობის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამორიცხოს სხვა პირების მონაწილეობა.
- დაგმობილია შეცდომაში შემყვანი რეკლამის გამოყენება, რომელმაც შეიძლება კონკურენტების პროდუქციას და მათ მწარმოებელ კომპანიებს უსაფუძვლოდ საეჭვო რეპუტაცია შეუქმნას.

ჩვენ ვაჩვენებთ ეთიკური ქცევის მაგალითს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

5

ბაზარზე გავლენის მქონე ინფორმაციაზე წვდომა იწვევს შეზღუდვებს და პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა იცოდეთ და დაიცვათ

FCC ჯგუფს აქვს შიდა რეგულაციები, რომლებიც შეესაბამება ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობაში დადგენილ ვალდებულებებს. FCC ჯგუფის თანამშრომლები და დაკავშირებული მხარეები, რომლებიც ექვემდებარებიან ასეთ შიდა რეგულაციებს, უნდა იცავდნენ შეზღუდვებს ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებაზე, რომელზეც მათ წვდომა აქვთ თავიანთი პროფესიული საქმიანობისთვის.

ამასთან დაკავშირებით, ინსაიდერული ინფორმაცია განიმარტება, როგორც ნებისმიერი კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და რომელიც გამოქვეყნებული რომ ყოფილიყო, შეეძლო ჰქონოდა ან ექნებოდა მნიშვნელოვანი გავლენა ბაზარზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების ან მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე, რაც მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტის ან მისი ემიტენტების უფლებამოსილების სფეროს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

- მესამე მხარეებთან კავშირის დამყარებისას დაიცავით ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს FCC ჯგუფის რომელიმე კომპანიის ან სხვა ორგანიზაციების პრეისკურანტის ფასზე.
- დაიცავით კონფიდენციალური ინფორმაცია. მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, არ გაუზიაროთ მესამე მხარეს, როგორც თქვენი პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ასევე დაკავშირებული პირების ან მესამე მხარის სასარგებლოდ, ან ბაზარზე მდგომარეობის შეცვლის განზრახვით.
- არ განახორციელოთ ტრანზაქციები იმ აქტივებსა და ფასიან ქაღალდებზე, რომლებზეც თქვენ გაქვთ ინსაიდერული ინფორმაცია.

ჩვენ ვერიდებით ინტერესთა კონფლიქტს

ჩვენ გვაქვს ბიზნეს ინტერესების დაცვის ვალდებულება

ჩვენი პროფესიული მოვალეობების განხორციელებისას, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ბიზნეს ინტერესებით და დავიცვათ FCC ჯგუფის ინტერესები, თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი ჩვენს პირად ინტერესებსა და ჯგუფის ინტერესებს შორის. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, FCC-ის თანამშრომლებს არ შეუძლიათ იმოქმედონ პირადი ინტერესებით, სარგებლის ახლა თუ მომავალში მიღების მიზნით, იქნება ეს საკუთარი თუ დაკავშირებული პირების სარგებელი.

საბჭოს წევრებმა და დირექტორებმა ასევე უნდა იცოდნენ და დაიცვან კომერციული საქმიანობის შესახებ კანონმდებლობა და დირექტორთა საბჭოს დებულებები ინტერესთა კონფლიქტის მართვის და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების წარმოებისას ბიზნეს ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით.

კონსულტაციისთვის მიმართეთ ეთიკის არხს შემდეგი შემთხვევების დროს, როდესაც შესაძლოა წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი

- უშუალოდ ან დაკავშირებული მხარის მეშვეობით ჯგუფის კომპანიებთან ნებისმიერ ფინანსურ ტრანზაქციაში ან ოპერაციაში მონაწილეობა.
- ჯგუფის ნებისმიერი კომპანიის სახელით გადაწყვეტილების მიღების, მოლაპარაკების წარმოების ან ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობა დაკავშირებულ ან ისეთ იურიდიულ პირებთან, სადაც თანამშრომელს, უშუალოდ ან დაკავშირებული მხარის მეშვეობით, აქვს ფინანსური ან პირადი ინტერესები.
- როდესაც მნიშვენლოვანი აქციონერი, დირექტორი, საბჭოს წევრი, აღმასრულებელი და სხვ. არის ჯგუფის წევრი კომპანიის პირდაპირი ან მესამე მხარის მეშვეობით კლიენტი, მომწოდებლი ან კონკურენტი.
- როდესაც თანამშრომელს მოეთხოვება დაკავშირებული მხარეების სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებაზე მეთვალყურეობა.
- ტენდერში გადაწყვეტილების მიმღები დაკავშირებული მხარეა.
- აუდიტის ან მარეგულირებლის ან ზედამხედველის მიერ განხილვისას, გუნდის ლიდერი ან გუნდის წევრი დაკავშირებული მხარეა.
- ოჯახის წევრის იერარქიულად ან ფუნქციურად დამოკიდებულ თანამდებობებზე განხილვა ექვემდებარება კომპანიაში ოჯახის წევრების დასაქმების პოლიტიკას და უნდა იყოს ავტორიზებული ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ.

დაკავშირებული მხარეები არიან

- დასაქმებულის მეუღლე ან პარტნიორი.
- დასაქმებულის ან მეუღლის (ან პარტნიორის) მშობლები, შვილები და დედმამიშვილები.
- დასაქმებულის მშობლების, შვილების და დედმამიშვილების მეუღლეები ან პარტნიორი.

შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი

7. ჩვენ მოწადინებულები ვართ კონტროლთან, სანდოობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით
8. ჩვენ ვიცავთ ჯგუფის რეპუტაციას და იმიჯს
9. ჩვენ ეფექტურად და უვნებლად ვიყენებთ კომპანიის რესურსებს და აქტივებს
10. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მონაცემთა და ინფორმაციის ფლობას და კონფიდენციალურობას

ჩვენ მოწადინებულები ვართ კონტროლთან, სანდოობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

7

ინფორმაცია FCC ჯგუფის შესახებ უნდა იყოს შედგენილი მაქსიმალური სანდოობით, მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესების შესაბამისად, და უნდა იყოს გულმოდგინედ დაცული და დაარქივებული

ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჩვენი მოვალეობების კომპანიის წესებისა და პროცედურების შესაბამისად შესრულებაზე, ისე რომ ნებისმიერ დროს ვიყოთ ანგარიშვალდებული ჩვენი ქმედებებისთვის.

გამჭვირვალობა FCC ჯგუფის ფუნდამენტური პრინციპია. ყველა თანამშრომელმა უნდა ითანამშრომლოს შიდა და გარე კონტროლის ფუნქციებთან, ზედამხედველებთან, მარეგულირებელებთან და ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოებთან, ყურადღება მიაქციონ მათ მოთხოვნებს და საჭიროებებს და, უფლებამოსილების ფარგლებში, სწრაფად და ზუსტად მიაწოდონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

ყველა ტრანზაქცია, შემოსავალი და ხარჯი სათანადოდ და სრულად უნდა იყოს აღრიცხული, აღიარებული და დოკუმენტირებული, როგორც კი და როდესაც ისინი სრულდება, რაიმე მონაცემების ან ინფორმაციის გამოტოვების, დამალვის ან შეცვლის გარეშე, ისე, რომ ბუღალტრული აღრიცხვა და საოპერაციო ჩანაწერები წარმოადგენდეს ფაქტობრივი ვითარების ჭეშმარიტ და სამართლიან ხედვას და შესაძლებელი იყოს კონტროლის ფუნქციების და შიდა და გარე აუდიტორების მიერ ინფორმაციის გადამოწმება.

ამ სახელმძღვანელო მითითებების შეუსრულებლობა შეიძლება ჩაითვალოს თაღლითობად წინამდებარე ეთიკის კოდექსის ან/და მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის მიზნებისათვის.

კომპანიის შიდა კონტროლის თავიდან აცილება გამოიწვევს სანქციას.

ჩვენ ვიცავთ ჯგუფის რეპუტაციას და იმიჯს

8

ჩვენ ყველა პასუხისმგებელი ვართ FCC ჯგუფის იმიჯისა და რეპუტაციის დაცვაზე

მედიის ურთიერთობა FCC ჯგუფთან და მის თანამშრომლებთან უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილების მიერ.

თანამშრომლებმა ამ განყოფილებას უნდა მიმართონ მედიის წარმომადგენლისგან ნებისმიერი ზარის, ინფორმაციის გამოთხოვის, კითხვარების ან სხვა მსგავსი მომართვების დროს.

თუ სამსახურეობრივი საქმიანობისას თქვენ დაგჭირდებათ მედიასთან დაკავშირება, პირველ რიგში, შესაბამისი ღონისძიების გასატარებლად აცნობეთ კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

- FCC ჯგუფის შედეგებისა და ბიზნეს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის უნდა იმართებოდეს ინვესტორებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.
- FCC ჯგუფის შიდა არხებით გაზიარებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოქვეყნდეს გარე მედიაში კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილების ნებართვის გარეშე.
- მხოლოდ კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილება არის უფლებამოსილი შექმნას სოციალური მედიის ანგარიშები (ვებ-გვერდები, ბლოგები და ა.შ.) FCC-სთვის.
- მხოლოდ თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური უფლებამოსილება, შეუძლიათ გამოაქვეყნონ ინფორმაცია ან მოსაზრებები FCC ჯგუფის სოციალური მედიის ანგარიშების მეშვეობით, რა დროსაც, მათ უნდა გამოიყენონ ქცევის შიდა წესები და იმოქმედონ პატივისცემით, გონივრულად, დაკვირვებით აირჩიონ მათ მიერ გაზიარებული ინფორმაცია (*).
- სოციალური მედიის პირადი გამოყენებისას თქვენ არ უნდა გამოიყენოთ თანამშრომლის სტატუსი ან რაიმე სხვა მითითება, რის მიხედვითაც გამოქვეყნებული კონტენტი შეიძლება მიეწეროს FCC ჯგუფს.
- კორპორატიული იდენტობა (ლოგო, ბრენდი) და FCC ჯგუფის სახელი გამოიყენეთ მხოლოდ იმისთვის, რომ საშუალება მოგეცეთ განახორციელოთ თქვენი პროფესიული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად და ბრენდის გამოყენების შესახებ შიდა მითითებების შესაბამისად (*).

(*) სადაც არ არის კონკრეტული წესი, გაიარეთ კონსულტაცია კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილებასთან

ჩვენ ეფექტურად და უვნებლად ვიყენებთ კომპანიის რესურსებს და აქტივებს

9

კომპანიის აქტივები უნდა იყოს დაცული და გამოყენებული პასუხისმგებლობით და ეფექტურად

FCC ჯგუფი თავის თანამშრომლებს აწვდის საჭირო საშუალებებსა და რესურსებს პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. რესურსები ეფექტურად და შიდა წესების შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული და საჭირო ზომები უნდა გატარდეს მათი დაკარგვის ან ქურდობის, ან რაიმე დაზიანების ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად.

FCC ჯგუფს აქვს ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების კოდექსი. ყველა თანამშრომელს მოეთხოვება იხელმძღვანელოს ამ კოდექსით, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი სათანადოდ, მართლზომიერად და პასუხისმგებლობით იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც მოიცავს IT ინვენტარს და ელექტრონულ ფოსტას.

ჩვენ ყველა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი ვართ ვიმოქმედოთ სათანადო გულმოდგინებით. ჩვენ ვთანამშრომლობთ ადმინისტრაციასთან და აუდიტის განყოფილებებთან მათ მიერ მონიტორინგის განხორციელების და მათი მხრიდან რესურსების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების შემთხვევაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

- დაიცავით კომპანიის აქტივები და რეპუტაცია.
- დაიცავით ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების წესები, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ უსაფრთხოების ნებისმიერი დარღვევის, საეჭვო თავდასხმის, მანიპულაციის ან უკანონო გამოყენების შესახებ, რომელსაც თქვენ შენიშნავთ.
- გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი საშუალებით შექმნილი, მიღებული, გაგზავნილი, გადმოწერილი, შენახული ან დამუშავებული ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, განხილული, კოპირებული, ჩაწერილი ან წაშლილი FCC ჯგუფის მიერ, დამტკიცებული შიდა პროცედურების შესაბამისად.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მონაცემთა და ინფორმაციის ფლობას და კონფიდენციალურობას

10

ჩვენ ყველა ვალდებული ვართ დავიცვათ ინფორმაცია და მონაცემები არაავტორიზებული წვდომის თავიდან ასაცილებლად

როგორც FCC ჯგუფის თანამშრომლები, ჩვენ ხშირად განვკარგავთ ფინანსური, ტექნიკური, პირადი, საქმიანი ან ადმინისტრაციული სახის კონფიდენციალურ ინფორმაციას (ბეჭდური ან ციფრული ფორმატით), რომელიც ჯგუფისთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა და რომელზეც ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების და მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა იმ იურისდიქციებში, სადაც ჩვენ ვოპერირებთ.

ნებისმიერი პირი, ვინც დასაქმებულია FCC ჯგუფში, ვალდებულია დაიცვას კომპანიის მიმდინარე წესები ინფორმაციის უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის შესახებ, და, ამასთან, პატივი სცეს ჯგუფში არსებულ ზომებს, იმისთვის, რომ გარე მხარეებმა და თანამშრომლებმა ავტორიზაციის გარეშე ვერ განახორციელონ წვდომა ინფორმაციაზე და/ან მონაცემებზე.

გახსოვდეთ, რომ კონფიდენციალურობის ვალდებულება ძალაში რჩება FCC ჯგუფთან თქვენი საქმიანი ურთიერთობის დასრულების შემდეგაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

ინფორმაცია, რომელიც კომპანიის საკუთრებაა, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისთვის.

პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ლიცენზიის პირობებს და არ უნდა არღვევდეს მესამე მხარის უფლებებს.

ყველა პაროლი კომპანიის საკუთრებაა.

ლოიალურობა და ერთგულება

11. ჩვენთვის პრიორიტეტია ჩვენი მომხმარებლები
12. უმთავრესია შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
13. ჩვენ ხელს ვუწყობთ არადისკრიმინაციულ და სამართლიან მოპყრობას
14. ჩვენ ერთგული ვართ გარემოს დაცვის მიმართ
15. ჩვენი ურთიერთობა საზოგადოებასთან გამჭვირვალეა
16. ჩვენ ვავრცელებთ ჩვენს ვალდებულებას ბიზნეს პარტნიორებზე

ჩვენთვის პრიორიტეტია ჩვენი მომხმარებლები

11

ჩვენი მომხმარებლები ჩვენი საქმიანობის ბირთვია. ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ ხანგრძლივი ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია ურთიერთნდობაზე, პატიოსნებასა და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რასაც დამატებითი ღირებულება მოაქვს ჩვენი მომხმარებლებისთვის.

ჩვენი ძალისხმევა მიმართულია ჩვენი მომხმარებლების გაცნობისკენ, ჩვენ მათ ვთავაზობთ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს, ვცდილობთ მივაღწიოთ სრულყოფილებას და პრიორიტეტს ვანიჭებთ მომხმარებლის კმაყოფილებას ჩვენი სერვისის შეთავაზებისას.

ჩვენ ვგეგმავთ, ვქმნით და ვყიდით უმაღლესი ხარისხის პროდუქტებსა და სერვისებს, ჩვენი მომხმარებლებისთვის შემოგვაქვს ღირებულებები, რაც გამოგვარჩევს ბაზრის სხვა შეთავაზებებისგან.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ინოვაციისადმი ერთგულებას.

ჩვენ სამართლიანები ვართ მომხმარებლებთან ურთიერთობაში

ჩვენ აღვწერთ ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებების მახასიათებლებს გამჭვირვალედ, ვაწვდით ინფორმაციას, რომელიც არის სრულყოფილი, ჭეშმარიტი, სრული და ადვილად გასაგები.

ჩვენ პატივს ვცემთ აღებულ ვალდებულებებს და ვმოქმედებთ პატიოსნად.

უმთავრესია შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

12

ჩვენი მიზნის მიღწევა, რაც ნულოვან გართულებას გულისხმობს, ყველას პასუხისმგებლობაა

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა არის FCC ჯგუფის განმასხვავებელი ფაქტორი და არსებითი მოთხოვნა ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად. FCC ჯგუფს აქვს სტრატეგია და შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმები, სპეციფიკური მისი თითოეული ბიზნესისთვის. გეგმა შეესაბამება თითოეულ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.

ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას და უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის წესებთან და პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენების წესებთან შესაბამისობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შემდეგს

ნუ წახვალთ რისკზე, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ვინმეს ფიზიკურ უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობას. მკაცრად დაიცავით შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის წესები თქვენი, სხვა თანამშრომლებისა და მესამე მხარის დაცვის მიზნით.

პასუხისმგებლობით გამოიყენეთ თქვენთვის გამოყოფილი აღჭურვილობა, განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველი აქტივობების განხორციელებისას და წაახალისეთ რისკის პრევენციის პრაქტიკის დაცვა.

აკრძალულია ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მუშაობა. მიმართეთ სამედიცინო სამსახურს, თუ იღებთ მედიკამენტებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს უსაფრთხოებაზე სამუშაოს შესრულებისას.

FCC ჯგუფი მოწოდებულია შექმნას ჯანსაღი ცხოვრების კულტურა ინიციატივებით, რომლებიც მიზნად ისახავს ფიზიკური ვარჯიშისა და ჯანსაღი კვების პოპულარიზაციას, თანამშრომლებს უბიძგებს იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე და მხარს უჭერს ჯანსაღ ჩვევებს, რაც ამცირებს უბედურ შემთხვევებს და სამსახურში გამოუცხადებლობას.

ჩვენ ხელს ვუწყობთ არადისკრიმინაციულ და სამართლიან მოპყრობას

ჩვენი მიზანია შევქმნათ სამართლიანი და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას

სამართლიანი მოპყრობა არის წამყვანი პრინციპი. ჯგუფი შეიმუშავებს პროგრამებს, შიდა პროცედურებსა და ინიციატივებს, რაც მიზნად ისახავს შეიქმნას გამდიდრებული სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და ხელს უწყობს მრავალფეროვნებას.

თანამშრომლების შერჩევისა და დაწინაურებისას, FCC ჯგუფის გადაწყვეტილება ყოველთვის ეფუძნება მიღწევებს და მუშაობის ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებებს.

ჩვენ არ მოვითმენთ

- პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას სქესის, რასის, ასაკის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ქმედუუნარობის, ოჯახური წარმომავლობის, ენის, პოლიტიკური იდეოლოგიის, პოლიტიკური პარტიის ან პროფკავშირის წევრობის ან სხვა ფაქტორის კუთხით, რომელსაც სამუშაო პირობებთან ობიექტური კავშირი არ გააჩნია; მიუხედავად იმისა, აღნიშნული გათვალისწინებულია თუ არა შესაბამისი იურისდიქციის მოქმედ კანონმდებლობაში.

- მობინგს ან სექსუალურ შევიწროებას.

ჩვენ ერთგული ვართ გარემოს დაცვის მიმართ

14

ჩვენი მისია მოიცავს მუშაობას მდგრადი განვითარებისკენ, ამიტომ ჩვენ ვცდილობთ ეფექტურად გამოვიყენოთ რესურსები და მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე ზემოქმედება

FCC ჯგუფი მუშაობს შემდეგი პრონციპებით:

- რესურსების ეფექტური გამოყენება.
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და ეკოსისტემებისა და ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა.
- სათბური აირების ემისიების შემცირება.

ჩვენ მკაცრად ვიცავთ გარემოსდაცვით კანონმდებლობას და ვმოქმედებთ პრევენციის პრინციპით

FCC ჯგუფი თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოებთან, რათა შეიმუშაოს და ხელი შეუწყოს კანონებისა და სამართლიანი რეგულაციების განვითარებას გარემოს დასაცავად. ის ასევე ახორციელებს გარემოსდაცვით პროექტებს და მოთანამშრომლეა ამ მიზნით. თანამშრომლებს არ შეუძლიათ კავშირი დაამყარონ რომელიმე სააგენტოსთან, საჯარო მოხელესთან ან მთავრობის წარმომადგენელთან, მედიასთან ან ხელისუფლებასთან ჯგუფის შესაბამისი განყოფილების ნებართვის გარეშე.

განსაკუთრებით გაითვალისწინეთ შემდეგი

გაეცანით FCC ჯგუფის გარემოსდაცვით პოლიტიკას და თქვენი ფუნქციის ფარგლებში წაახალისეთ მისი გამოყენება, მოახდინეთ თქვენი ერთგულების დემონსტრირება გარემოს პატივისცემისა და მდგრადობის კრიტერიუმების მიმართ, რომელიც პოლიტიკაშია განსაზღვრული. მიიღეთ საუკეთესო პრაქტიკა, რათა დადებითი და ეფექტური წვლილი შეიტანოთ მიზნების მიღწევაში. შეეცადეთ მინიმუმამდე დაიყვანოთ თქვენი საქმიანობით და თქვენს განკარგულებაში არსებული საშუალებების, აღჭურვილობისა და სამუშაო რესურსების გამოყენებით გარემოზე ზემოქმედება, შეეცადეთ გამოიყენოთ რესურსები ეფექტურად.

დაეხმარეთ საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციას იმ კომპანიებში, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ - თქვენი ცოდნის გაზიარებით, მუდმივი სიფხიზლითა და სხვადასხვა შესაბამისი აქტივობების განხორციელებით. დაჟინებით მოითხოვეთ მოქმედი გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვა.

როდესაც ეჭვი გეპარებათ, იყავით ფრთხილად

დაიცავით ბუნებრივი ტერიტორიები

თუ თქვენი მუშაობა FCC ჯგუფში მოიცავს თქვენს ჩართულობას ურბანულ განვითარებაში, მშენებლობის ან მიწის დამუშავების პროექტებში, დარწმუნდით, რომ საქმიანობით პატივს სცემთ კულტურულ, ისტორიულ, მხატვრულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენმა საქმიანობამ.

ეძიეთ ეფექტურობა

სახელმძღვანელო მითითების მსგავსად, მინიმუმამდე შეამცირეთ ნარჩენები და დაბინძურება, შეინარჩუნეთ ბუნებრივი რესურსები და ხელი შეუწყვეთ ენერგიის დაზოგვას და ემისიების შემცირებას.

საზოგადოებაში ინვესტიციები უნდა იყოს გამჭვირვალე და სათანადოდ დოკუმენტირებული

FCC ჯგუფი ინვესტირებას ახდენს მოქალაქეებისა და საზოგადოების განვითარებაში, გამჭვირვალედ ხელს უწყობს და აფინანსებს რიგ ინიციატივებსა და პროექტებს შესაბამისი სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ჩვენი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად.

FCC ჯგუფის მიერ განხორციელებული სპონსორობა, თანამშრომლობა და შემოწირულობები, ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, გაფართოვდება სათანადო იმიჯის და ეთიკური ხედვის სუბიექტებზე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა მიღებული რესურსების სწორი ადმინისტრირებისთვის.

ნებისმიერი თანამშრომლობა ან სპონსორობა, მათ შორის განხორციელებული არა-ფულადი სახით, უნდა იყოს სათანადოდ ავტორიზებული, დოკუმენტირებული და, სადაც ეს შესაძლებელია, მონიტორინგის ქვეშ, რათა დადგინდეს საბოლოო მიზანი ან შენატანის გამოყენება.

დაუშვებელია პოლიტიკური პარტიებისთვის ან კანდიდატებისთვის შემოწირულობების გაკეთება

კატეგორიულად აკრძალულია ჯგუფის კომპანიების მიერ შემოწირულობების გაკეთება ან სესხების ან ავანსების გაცემა პირდაპირ თუ ირიბად, საკუთარი სახელით ან შუამავლების მეშვეობით - საჯარო მოხელეებისთვის ან კანდიდატებისთვის, ან პოლიტიკური პარტიებისთვის, მათ შორის ფედერაციებისთვის, კოალიციებისთვის, დროებითი საარჩევნო სტრუქტურებისთვის, ფონდებისთვის და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისთვის. გამონაკლისის სახით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი აღმასრულებელი პირის პირდაპირი ნებართვით და ჯგუფის მიერ გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, შემოწირულობები შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკური პარტიებისთვის იმ ქვეყნებში, სადაც ეს პირდაპირ რეგულირდება კანონით და კანონით დადგენილი პირობებით, არანაირი გარემოების გათვალისწინებით არ უნდა იყოს საჭირო ბიზნესში არასათანადო უპირატესობის მოპოვებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ყველა სპონსორობა და შემოწირულობა უნდა იყოს ავტორიზებული

ინვესტიციები კომპანიაში: სპონსორობა, თანამშრომლობა, შემოწირულობა და ნებაყოფლობითი სამუშაო უნდა იყოს ავტორიზებული კომუნიკაციების, კორპორატიული მარკეტინგისა და ბრენდების განყოფილების მიერ.

ეს კონცეფცია ვრცელდება გაწეულ ნებისმიერ არასტანდარტულ მომსახურებაზე, ისევე როგორც ობიექტების, მომსახურების ან პროდუქტების მომხმარებლებისთვის ან მომწოდებლებისთვის გადაცემაზე/გაწევაზე.

ჩვენ ვავრცელებთ ჩვენს ვალდებულებას ბიზნეს პარტნიორებზე

16

მომწოდებლებთან, კონტრაქტორებთან, პარტნიორებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში ჩვენ ვცდილობთ ჩამოვაყალიბოთ დაბალანსებული და გამჭვირვალე თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს სტაბილურ, ხანგრძლივ საქმიან ურთიერთობებს, რომელიც, თავის მხრივ, მაქსიმალურად გაზრდის სარგებელს ყველა მხარისთვის

FCC ჯგუფში, ჩვენ ვიზიარებთ ჩვენს ერთგულებას ეთიკისა და შესაბამისობის მიმართ, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უახლესი პრაქტიკის ხელშეწყობით და იმ პირებთან თანამშრომლობის წახალისებით, რომლებიც შეესაბამებიან მოწინავე სოციალურ, გარემოსდაცვით და ეთიკურ სტანდარტებს. ასეთ პირებს შეუძლიათ ეს გააკეთონ კოდექსის დაცვით, მათ შორის კონტრაქტებში კონკრეტული პუნქტების გათვალისწინებით ან შესაბამისობის ისეთი მოდელების დანერგვით, რომლებიც თავსებადია FCC ჯგუფის შესაბამისობის მოდელთან.

ჩვენი პარტნიორები, თანამშრომლები და მომწოდებლები ვალდებულნი არიან

მოახდინონ ეთიკური ქცევის დემონსტრირება საქმიან ურთიერთობებში და ღიად უარყონ კორუფცია, მექრთამეობა და თაღლითობა.

დაიცვან ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური შრომითი უფლებები, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ დეკლარაციითა და შსო-ს სხვა კონვენციებით.

წარმოაჩინონ მაღალი დონის ვალდებულება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების დაცვის მიმართ, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნით და სათანადო ზომების პროაქტიულად განხორციელებით, რაც ხელს უწყობს რისკის შემცირებას.

პატივი სცენ გარემოს ყველა მათ საქმიანობაში არა მხოლოდ კანონმდებლობის დაცვით, არამედ მათი საქმიანობის ისე განხორციელებით, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და ჩაერთონ გარემოს მდგრად მართვაში. კონკრეტულად, როდესაც მომწოდებლები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას FCC ჯგუფის ტერიტორიაზე, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათმა თანამშრომლებმა იცოდნენ და დაიცვან მოქმედი შიდა და გარე გარემოსდაცვითი რეგულაციები.

ჩვენ განვახორციელებთ სათანადო დიუ დილიჯენსს, რომ ჩვენთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების ეთიკის და შესაბამისობის სტანდარტების და ფინანსური მდგომარეობის შესწავლით, შევაფასოთ მოცემულ პრინციპებთან შესაბამისობა.

რას ველით ყველასგან, ვინც FCC ჯგუფში მუშაობს

FCC ჯგუფი არ მოითმენს ეთიკისა და ქცევის კოდექსის რაიმე სახის შეუსრულებლობას. არც ერთი თანამშრომელი, მიუხედავად მისი პოზიციისა, არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს სხვა თანამშრომლების მიერ კოდექსით გათვალისწინებული მითითებების დარღვევა.

ამ კოდექსის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური ზომების გატარება შრომის კანონმდებლობისა და პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი სამართლებრივი წესების შესაბამისად.

იცოდე, გაითავისე და გამოიყენე ამ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის სახელმძღვანელო მითითებები და მისი დამნერგავი და შესაბამისი დამატებითი პოლიტიკა და პროცედურები

მიუხედავად იმისა, რომ ეს კოდექსი არ მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, ის მაინც ადგენს ქცევის მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს. თქვენი ვალდებულებაა, თქვენს მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაში გამოიყენოთ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო კოდექსს. თუ რაიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვი გეპარებათ, უნდა მიმართოთ შესაბამისობის ოფიცერს და/ან შესაბამისობის კომიტეტს.

რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე გაითვალისწინეთ შემდეგი:

ეწინააღმდეგება თუ არა ეს რაიმე კანონს ან რეგულაციას?
ეწინააღმდეგება თუ არა ეს FCC ჯგუფის ფასეულობებსა და პოლიტიკას?
ჩემი საქციელი რომ გასაჯაროებულიყო, ჩაითვლებოდა თუ არა შეუსაბამოდ ან არაპროფესიონალურად?

ყოველთვის იყავით მოთანამშრომლე და პასუხისმგებელი ამ კოდექსში მოცემული ეთიკური პრინციპებისა და ქცევის წესების ფაქტობრივი ან პოტენციური შეუსაბამო გარემოებების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

თავიდან აიცილეთ არასწორი ქმედებები. თქვენი ვალდებულებაა ეთიკის არხით შეატყობინოთ ნებისმიერი არასათანადო ქცევა, რომლის შესახებაც გესმით ან რომლის მოწმეც ხართ.

ეთიკის არხი

ეთიკის არხი არის ინსტრუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, რათა, FCC ჯგუფში შესაბამისობის კულტურის განმტკიცების მიზნით, ჯგუფს დაეხმაროს ეთიკისა და ქცევის კოდექსთან და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებთან პოტენციური შეუსაბამობის ან კოდექსის დარღვევის იდენტიფიცირებაში და პოტენციური სისუსტეების წინასწარ განსაზღვრაში. თქვენ ასევე შეგიძლიათ არხი გამოიყენოთ კონსულტაციისთვის და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად მიმართული წინადადებების დაფიქსირებისთვის.

ეთიკის არხის მეშვეობით კომუნიკაციები მიიღება და მუშავდება შესაბამისობის კომიტეტის მიერ და კონფიდენციალურობა გარანტირებულია.

შესაბამისობის კომიტეტი შედგება კორპორატიული დირექტორებისგან, ადამიანური რესურსების მართვის, შიდა აუდიტის, იურიდიული მრჩევლისა და კორპორატიული შესაბამისობისა და პასუხისმგებლობის ფუნქციების წარმომადგენლებისგან.

მოკვლევა

შესაბამისობის კომიტეტი იკვლევს ყველა ანგარიშს დაუყონებლივ და გულმოდგინედ და პრობლემის გადასაჭრელად რეკომენდაციას უწევს შესაბამისი ზომების მიღებას. ინფორმაციის გაანალიზება ხდება ობიექტური და მიუკერძოებელი კრიტერიუმების გამოყენებით.

შურისძიების საწინააღმდეგო ზომები

კატეგორიულად აკრძალულია რაიმე სახის ზომების მიღება ჯგუფის თანამშრომლის მიმართ შურისძიების მიზნით, მის მიერ დარღვევების შესახებ შეტყობინების დაფიქსირებისთვის.

ცრუ ანგარიშები

შესაბამისი დისციპლინური ზომები მიიღება, როდესაც შიდა გამოძიება დაადგენს, რომ დაფიქსირებული შეტყობინება არასწორია და არაკეთილსინდისიერი განზრახვით არის გაკეთებული.

თქვენ შეგიძლიათ დააფიქსიროთ შეტყობინება ეთიკისა და ქცევის კოდექსის ან მასთან დაკავშირებული რეგულაციების პოტენციური დარღვევის შესახებ შემდეგი არხების გამოყენებით:

ელ-ფოსტა:
canaletico@fcc.es

ვებგვერდი: www.ggu.ge

ფოსტა:
P.O. 19312
28080 Madrid
Spain

ოფიციალური განცხადება
ინფორმირებული და შეთანხმებული

თანამშრომლებს პერიოდულად მოეთხოვებათ ხელი მოაწერონ ოფიციალურ განცხადებას, რომელიც ავალდებულებთ, რომ დაიცვან FCC ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსი.

ამ განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

ვიცი და წავიკითხე FCC ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსი.

მესმის მასში ჩამოყალიბებული ვალდებულებები, აკრძალვები და ქცევის შესახებ მითითებები.

ჩემი პროფესიული საქმიანობისას ვმოქმედებ კოდექსის პრინციპებისა და ფასეულობების შესაბამისად და ვიცავ მის წესებს. მე ვთანამშრომლობ შესაბამისობის ოფიცერთან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დაცვისთვის.

მე ვიცი, რომ GGU და FCC ჯგუფს აქვს შეუსაბამობის შესახებ მოხსენების პროცედურა და ეს არის ჩემი ვალდებულება, ამ პროცედურის შესაბამისად განვაცხადო შეუსაბამობის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, რომელიც ჩემს ყურადღებას მიიქცევს.

მე ვთანამშრომლობ შესაბამისობის კულტურის დასანერგად, მე ვხელმძღვანელობ მაგალითებით და ხელს ვუწყობ ეთიკის და ქცევის კოდექსის დარღვევებთან დაკავშირებით ეჭვების გამჟღავნებას და შეუსაბამობის აღმოფხვრას.

სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____ ხელმოწერა: _____

ეთიკის და ქცევის კოდექსის განახლება ხდება რეგულარულად, ახალი მარეგულირებელი მოთხოვნების, შესაბამისობის ანგარიშებისა და საუკეთესო პრაქტიკის შედეგად წარმოქმნილი გაუმჯობესებების შესატანად. მოქმედი ვერსიის სანახავად ეწვიეთ GGU-ს ვებ-გვერდს (www.ggu.ge).